№ 90 მაისი 1, შაბათი — 1893 — მაისი 1, შაბათი № 90

# ივერია


**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგწალის ქუჩაზედ, გარანცოვიძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის უკანასკნელს კრებაზედ ორის დამფასებლის თანამდებობაზე კენჭი იყარეს: ვ. ა. სულხანიშვილმა, თ. ლ. ჩერქეზიშვილმა, თ. ნ. ა. თუმანიშვილმა და ალ. მირზაშვილმა. ამორჩეულ იქმნა თ. ლ. ჩერქეზიშვილი და თ. ნ. ა. თუმანიშვილი. კრება გათავდა 10½ საათზედ.

*** 28 აპრილს ტფილისის ვაგზალზედ, სადაც რკინის-გზის მცველნი დგანან, შევიდნენ ერთის მოხელისს სახლში ქურდები და მოჰპარეს მის სტუმარს, წინად კონდუქტორად ნამყოფს ს. თ—ას ჩოხა, ქამარი, საათი და ხანჯალი. სახლიდამ წაიღეს ყოველივე, რაც ხელში მოხვდათ.

*** 29 აპრილს რკინისგზის სადგურ აგ-ტაგლიას მატარებელს ქვეშ მოჰყვა კონდუქტორი მ. დ—ვი და საშინლად დაშავდა. დაშავებული მალე გარდაიცვალა ტფილისში რკინის გზის სამკურნალოში.

*** დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გადაეცა ყველა წიგნის მაღაზიებს გასასყიდად ბ-ნ ე. ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე“, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა ფელეტონებად გასულ წელს. მოთხრობა დაუბეჭდიათ ბ-ნ შარაძის სტამბის ასოთ-ამწყობთ ბ-ნ პ. გოგუაძესა და დ. ქვლივიძეს. წიგნი კარგ ქაღალდზეა მშვენივრად დაბეჭდილი, 102 გვერდს შეიცავს და ღირს ერთი აბაზი.

*** აპრილის 30-ს 1 საათამდე ტფილისის გამგეობას 800 თხოვნა წარედგინა 16 მაისს ხმოსანთა ამორჩევაზედ დასწრებისა. დღეს, დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობა თანადასწრებით მოწვეულის კომისიისა გახსნის ყუთს, რომელშიაც ინახება ხმოსანთა კანდიდატების სიები.

*** გუშინ, აპრილის 30, ტფილისის გამგეობას წარუდგინეს თხოვნა ტფილისის ხელოსნებმა; ხელოსნები სთხოვენ გამგეობას, ნება მოგვეცით, ოთხი საამქრო ბაირაღი გამოვიტანოთ დურგლების უსტაბაშად ნამყოფის განსვენებულ ფრიდრიხ ზეტცერის დასაფლავებაზედაო. ზეტცერს დღეს ასაფლავებენ. ქალაქის მოურავმა ეს თხოვნა გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს და თავის მხრითაც სთხოვა ეს თხოვნა, შეიწყნარეთო.

*** თელავი: კვირას, 25 აპრილს, აქ გამართული იყო ქართულ-სომხური წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს «თამარ-ცბიერის» მეორე მოქმედება, წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. კარგად ასრულეს ქ-ნ კახიძისამ თამარის როლი და გოჩასი—ილია ზურაბიშვილმა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი საზოგადოდ კარგად თამაშობს ზოგიერთ როლებს; სცენისთვის შესაფერ ტანადობას და მიხვრა-მოხვრას ხელს უწყობს ნიჭი. კარგი იქნებოდა ეს ახალ-გაზდა სცენის მოყვარე მონაწილეობას მიიღებდეს დრამატიულ საზოგადოების მიერ დანიშნულ გამოსაცდელ წარმოდგენებში, სადაც დაფასდებოდა იმის ავ-კარგიანობა.

*** ფოთი: კვირას, 25 ამ აპრილს, პატივის მცემელნი უკვდავის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა შეიყარნენ ფოთის საკათედრო ეკკლესიაში პანაშვიდის გადასახდელად. წირვის შემდეგ დეკანოზმა მამა გრიგოლ მაჭარაშვილმა მოკლედ აუხსნა ხალხს, თუ ვინ იყო ის, რომლისთვის ც იხდიან დღეს პანაშვიდს. ეკკლესიაში ხალხი ბლომად იყო; წირვის შემდეგ ბ-ნმა ქალაქის მოურავის მოადგილემ ი. მეუნარგიამ გაუგზავნა დეპეშა «ივერიას», რომელიც უკვე იყო დაბეჭდილი. დეპეშა გაუგზავნა თ. გ. ი. ორბელიანს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა, ყოვლად უსამღვდელოესმა გრიგოლმა. აი შინაარსი ამ მეორე დეპეშისაცა: „გადვიხადეთ პანაშვიდი; ჩემსა და მთლად ჩემის სამწყსოს პატივის ცემას პოეტის ნეშტისადმი შევუერთებ საზოგადო პატივის ცემას მთელის საქართველოისას, რომელიც გამოიხატა მისის ნეშტის გადმოსვენებით, ფერფლმა დიდის პოეტისამ გაიგონა საშობლო ხმები დიდის თამარის ეკკლესიაში, მიიღო საუკუნო განსვენება სამშობლოს გულში. დიდება ღმერთსა, დიდება ჩვენ!“

*** იქიდამვე: ფოთელები არ მოსწრებიან ჯერ ამისთანა გაზაფხულს, ერთი დღე არ დაგვინახავს ხეირიანი; ყოველ დღე წვიმა, ბურუსი და ქარი. აპრილი ა მაისი თვისის დარიანებით ძკარგის ჰავათ გათქმული იყო ფოთში, მაგრამ წელს-კი ჩაგვამწარა ყოველის ფერით. თუ ასეთი დარები დაიჭირა, ვერაფერი პირველ მაისობა გვექნება. მოგეხსენებათ, პირველ მაისს მთელ გურია-სამეგრელო აქ იყრის თავს, პარკი ფოთისა ივსება ხალხითა, არის გამართული ბაზრობა, იმართება ბურთაობა; ეს ასეთი ამბავი თითქმის ერთს კვირამდის გასტანს ხოლმე; წელსაც, იმედია, ასე იქნება, თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა. ეს პირველი მაისობა ცოტა არ იყოს სიცოცხლეს გაალვიძებს ფოთში, თორემ ერთობ მყუდროდ მიდის ჩვენი ცხოვრება; საშინელი მოწყენილობაა, უმოძრაობა. ძალიან დაგვჩაგრა ფოთელები „პორტის“ უქონლობამა; ვზივართ და ცის მანანასავით შესცქერით იმ დროს, როცა ზენაარსი ინებებს ფოთის «გაპორტებას», რომ კვლავ დატრიალდეს სიცოცხლე, კვლავ აღიძრას კვლავინდებური ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მისვლა მოსვლა.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს ნომერში შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ „სალიტერატურო ფონდისა“ სულ 34 მ. 20 კაპეიკი გვქონდა. ამ ფულისა არის ნამდვილად 64 მან. 20 კაპ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქსნის ხეობა** (ს. ოძისი, გორის მაზრა). ქსნის ხეობის ზოგიერთს ალაგას უკვე შეიყელა ვენახები და ზოგან-კი ამ კვირია დაიწყება, მაგრამ, რომ სრულიად ხელი არ ეხლოთ ვენახებს, უკეთესი იქნებოდა: ჯერ იყო და ზამთრის სასტიკმა ყინვებმა ხეირი არ დააყარა, შემდეგ ხომ შარშანდელმა სეტყვამ დიდი გავლენა იქონია ვაზზე და მით მომავლისათვის დიდი ვნება მისცა ვაზს. ამ შეჩვეულს ჭირს კიდევ აიტანდა ჩვენი ხალხი, რომ წარსულ წლებიდგან შერჩენილი სხვა-და-სხვა ვაზის ბოლოს მომღები სენი—მილდიუ და ნაცარი გაძლიერებას—სრულიად ვაზის განადგურებას არ გვიქადდეს. ოძისის დიდი ვენახები სწორედ რომ სამწუხარო სურათს წარმოადგენენ: მომეტებული წილი ვაზისა ძირიანად გამხმარია და რომელ ვაზსაც-კი სინედლე შერჩენია, დიდი საქმეა, სანაყოფოდ ორი, ან სამი კვირტი გამოიტანოს. ამ გვარად ვაზის წახდენის გამო აპრილის დასაწყისშივე სასოწარკვეთილებას მიეცნენ ვენახების პატრონები.

## ფელეტონი

### გიგოლა ქირაძე

(კახეთის სოფლის ცხოვრებიდგან)

I

გულადის, პურადის, ნოყიერის და ღონიერის შემოდგომის ბრწყინვალე დღე იდგა. მზე ცხერად-და გამოიცქირებოდა დედამიწისაკენ. მას კარგად ემჩნეოდა, რომ სრულიადაც არა სძულდა ეს მხოლოდ გარეგან გაციებული დედამიწა, რის ნიშნადაც იგი უხვად და მრავლად უგზავნიდა გამაცოცხლებელ სხივებს, თუმცა იმათაც-კი სითბო გამოლეულებს, მაგრამ მაინც და მაინც ერთად ერთ იმედებს ჩვენის გაყინულის დედა-მიწისას... არემარეს, იმის მიუხედავად, რომ მშვენიერი ამინდი იყო, რაღაც სიჩუმე, უსიცოცხლობა, სითალხე და დაღვრემილობა ეტყობოდა. უფრო ხალხიანი და ყველაზედ მხიარული ამ ჟამად სოფელი იყო, იმიტომ-კი არა რომ ძალიან ბედნიერი იყო თავის გონების სინათლით და ქონების კეთილდღეობით, არამედ იმიტომ, რომ ღონიერის შემოდგომის სული ტრიალებდა; ცოტად თუ ბევრად, წელი და გული მაგარი ჰქონდა. ნათქვამია: ერთხელ კოჭლიც წინაო. მაშ როდის-ღა უნდა გამხიარებულიყო სოფელი, თუ არ ეხლა? აქ გაისმოდა ხმაურობა და ყაყანი დასვენებულის და ღონე მოკრებილის ხალხისა, იქ სიმღერა და რაღაც ჟრიამული, ერთის სიტყვით, ოთხსავ კუთხით ლხინობდა სოფელი. სოფლის ლხინში მონაწილეობას იღებდა ყველა—მდიდარი თუ ღარიბი, ყველას ერთნაირად ჰქონდა ყელი მოღერებული, ყველას ერთნაირი ღიმი უქროდა პირზე. სოფელს მხიარულებას და მყუდროებას არა-რა ურღვევდა გარდა სოფლის მოხელეებისა, რომელნიც დღეში ერთხელ მაინც შემოუვლიდნენ და შეადგანდგარებდნენ სოფელს სხვისა და უფრო ხშირად თავის მუცლის გულისათვის.

სადილობა მოახლოვებული იყო, როცა გიგოლა ნალეკარიშვილის სახლს მოატანეს მოხელეებმა: მამასახლისმა, მწერელმა, ნაცვალმა, „ბოჩიკმა“ და გზირმა, და შორი ახლო გზაზე გაჩერდნენ, დაიწყეს ხმამაღლობა, ყასიდი ჯავრობა, მიბრუნდნენ ერთი-ერთმანეთისაკენ და რაღაც თათბირი გამართეს.

II

ნაბატონარი გლეხი, გიგოლა ნალეკარიშვილი, როგორც ეხლანდელი გლეხკაცობის უმრავლესობა, ძალიან ხელმოკლედ და ღარიბადა სცხოვრობდა თავის ცოლით და წვრილ შვილით. მამეული „ნადელი“. ბევრ ნაწილად ოჯახის გაყრისა და მამულის გაყოფის გამო, თითქმის არაფერი დაჰრჩომოდა. ერთი კალოს ტოლა ვენახი, პატარა ბაღჩა, ჩალადაფარებული წნული სახლი, პაწია ეზოთი, ორი ხარი,—აი მთელი ამისი უძრავი და მოძრავი სარჩო-საბადებელი, შინაური ვეჯის და ქათამ-წიწილის გარდა, რომელიც არა იყო-რა სათქმელი. გიგოლას ის ერთი ბოღჩა ვენახი თუმცა ძალიან კარგადა ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ რა გამოვიდა, როცა ისიც სხვასა ჰქონდა გირაოდ, და იმის ყოველ წლიურ მოსავალს გეურქა ცანცლიევი მიეზიდებოდა ორის თუმნის თავ-სარგებელში, რომელიც საქორწილოდ ივალა გიგოლამ. მართალია, გირავნობის ვადა შორს აღარ იყო, მაგრამ გიგოლას-კი თავისი დაემართა: ლეკური შალის ჩოხა ნამკვდრევ ცხრა-კარა ფარაჯად შეეცვალა, ახალგაზდობის მერდინის პერანგი სხვილ ხამად, ახალუხი ხომ, ეს შვიდი თუ რვა წელიწადი იყო, თავის ტანზე აღარ ენახა; გიგოლას ცოლ-შვილის სიტიტვლეს კი ნულარ მეტყვით!.. როგორც ვიცით, გიგოლას უღელი ხარიცა ჰყვანდა, მაგრამ უმამულო კაცის საქონლის ყოლას რა ყოლა ჰქვიან? წამ და წუთ უტუსაღებდნენ გიგოლას ხარებს: ლობე გადუმტვრიათ და ვენახში გადასულიყვნენო, ჩეჩ დაცულს მინდორში და ტყეში დავიჭირეთ, „სალესნიჩო“ ალაგში მოვასწარითო, და ბევრი სხვა—ასე, რომ რაც ის ხარები ღირდნენ, ორზომა იმათ ტყვეობიდგან გამოხსნაზე წასული ჰქონდა და კიდევაც მიუდიოდა გიგოლას. ეს კიდევ კარგი, რომ მეზვრე-მეველეები ხანდახან ქათმებსაც ჰჯერდებოდნენ ტყვეების სახსრად, თორემ გიგოლა ხარების ყოლას ვერა გზით ვერ შეჰძლებდა (ქათმის დაკლებას გლეხი დიდ ხარჯად არა სთვლის; ფრიად საძნელო მისთვის ფულის შოვნა და გაღება). ბე-

90-111

პატრონები: „რაღა ჭირად ვმუშაობთ, რა მოსავალს უნდა მოველოდეთ შემოდგომაზე, ან რაღა საჭიროა მისი მოვლა, მისი წამლობაო." რით გასცეს გლეხმა პასუხი მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, გზირს, მევალეს და მოვალეებს? ერთად-ერთი იმედი ჭირნახულისა აქვთ, რომელსაც ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, და ჩვენდა სასიხარულოდ მშვენივრად გააქვს ბიბინი.

ერთის სიტყვით, წრევანდელმა წელიწადმა პირში ჩალა გამოგვავლო! იმედია, გორის და დუშეთის მაზრების საფილოქსერო დასი თანაგვიგრძნობს და მომავალ ზაფხულისთვის ჩვენს საშველად გამოეშურება. იმედია, რომ ჩვენის ვენახების პატრონებს ისევ ისე დაყრუებულთ და სრულიად დაბრმავებულთ, შეაგნებინებს ჩვენი ხალხის ნივთიერ ცხოვრების განკარგების საჭიროებას და მით მომავლისათვის უზრუნველ გვყოფს ვაზის ავადმყოფობისაგან.

ა. ერისთავი.

---

**სოფ. სუჯუნა** (სამეგრელო). ერთი ძველი ამბავი მაგონდება და მსურს ეს წერილი მითი დავიწყო: ერთს სოფელში ძალიან ავი გზირი ჰყავდათ, ამოაგდო, აამტუტა მთელი სოფელი. შეწუხებული ხალხი შესთხოვდა ღმერთს, რომ დაეხსნა იგინი ამ ცეცხლ-კაცისაგან. გზირი მოკვდა; საქმე ისე მოეწყო, რომ მამის შემდეგ გზირად შვილი დააყენეს. ასეთი დღე დააყენა ახალმა გზირმა, რომ სოფლელთ სულ მისი მამის სული აფიცვინა. სწორედ ასეთი დღე დააყენა მთელს ქართველობას, მთელს საქართველოს, წლევანდელმა წელიწადმა. შარშანდელმა წელმა, მშობელმა აწინდლისამ, ათასი უბედურება მოგვაყენა, მაგრამ ამ ათას რვაას ოთხმოც-და-ცამეტმა სულ ბოლო მოგვიღო. ტყუილ დ არ ეჯავრებათ რუსებს რიცხვი ცამეტი!.. არ-სანატრელი ამბები გვესმის საქართველოს ყოველის კუთხიდამ: კახეთის ნაწილი—ქიზიყი დაიმშა, თვით კახეთიც არ არის კუჭ-მაძღარი; პირუტყვი საქონელი გაწყდა ყველგან. ჩვენშიაც, ქვემო იმერეთში, ხალხი გაჭირვებაშია; ამისთანა ზამთარს, ამისთანა სიცივეებს დიდიხანია თურმე არავინ მოსწრებია; ამ აპრილის 8-მდის თითქმის ყოველგან თოვლდა; ეხლა გამუდმებული წვიმებია; დღე ისე არ დადგება, რომ ათასნაირად არ შეიცვალოს ტაროსი, ამის გამო პირუტყვი საქონელი გახდა, მუშაობა ვერ გავიდა, მისვლა-მოსვლა გაჭირდა და ყველგან სიძვირე ჩამოვარდა. ჩვენში ეხლა იფოთქლება ხეები; ამ დროს ყველა ხილი კარგად გამოჩენილი ყოფილა; ამ უამინდობამ ხალხი ყოვლისფერში უკან დასწია. ჩვენი უკან დაწევის მიზეზი, რასაკვირველია, მარტო ამინდზედ არ არის დამოკიდებული; ბევრი რამეა ისეთი, რომელიც აფერხებს ჩვენის კეთილდღეობის წინსვლასა, მაგრამ ამაზედ ლაპარაკს არ გავაბამ.

სხვა-და-სხვა გარემოებას სოფ. სუჯუნაც, საიდამაც ვიწერები ამ ამბავს, უკან ჩამოუნარჩუნებია. მოგეხსენებათ, ძველად სუჯუნა საზამთრო სადგომი იყო ჭყონდიდლებისა; იმ ადგილას, სადაც ძველი ეკკლესია ყოფილა, ამ ჟამად სდგას საკმაოდ დიდი თლილის ქვის ეკკლესია, აღშენებული ამ საუკუნეში; ეკკლესია წმინდის გიორგის სახელობაზედ არის აშენებული; შიგ შესანიშნავი არა არის-რა, გარნა თვით წმინდა გიორგის ხატისა. თვით სოფელი შემკულია უხვად ბუნებისაგან; ადრევ დიდი ბაზრობა სცოდნია, მაგრამ აბაშას, სადაც ამ ჟამად რკინის გზის სადგურია (სუჯუნიდამ სამის ვერსის მანძილზედ), სუჯუნის ბაზრობა და ვაჭრობა შუა გაუყვია. ეხლა აბაშაში უფრო დიდი ვაჭრობაა, ვინემ სუჯუნაში, მაგრამ აქაც ბლომად არის დუქნები და მაღაზიები. 23-ს აპრილს, როგორც სხვა საქართველოს ნაწილებში, სუჯუნაში დიდი ხალხი იკრიბება წმინდა გიორგის თაყვანისსაცემლად. წელს უამინდობამ დაუშალა, თორემ ხალხი ბევრი შეიკრიბებოდაო. აქაური ხატობა, აქაური დღეობა ბევრით გაირჩევა ქართლ-კახეთის ხატობა-დღეობისაგან. აქ ხალხი მოდის თითქმის სულ სალტად, არ არის აჩონჩხლილი ხურჯინ-ტიკჭორებით და ზვარაკებითა. ქართლ-კახელი უსათუოდ ურემს გაამზადებს, ჩაილაგებს ნამცხვარს, ღვინით და ყოველის ხორაგით სავსე წავა; მთელი ღამე ხართალალოში დ ყანწების ცლაში ატარებს დროსა, ამაში ჰხედავს იგი ღვთისადმი ლოცვა-ვედრებასა; მეორე დღეს ღამ ს ტეხისაგან ქანც გაწყვეტილი, დაქექილი, აბურძგლული ტორტმანით მიდის სახლისაკენ და თუ პატარა ნახორხალი რამ შერჩა ხურჯინში, სადმე ჩეროში შუბლს გაიგრილებს, რომ ნაბახურევი გული მოიბრუნოს; ბევრი ისე დაბრუნდება სახლში, რომ საყდრის კარიც ვერა ჰნახოს. ახლა თვალი გადაავლეთ საყდრის ეზოს და მიდამოს, ადამიანის თვალს შეზარავს ეს სანახაობა: ყოველს ნაბიჯზედ დაკლულის პირუტყვის სისხლი, წელ-წული და ათას გვარი უსუფთაობაა; ადამიანი თუ სიფთხილით არ დადის, მთლად მოისვრება. მაგრამ ქართლ-კახეთის ხატობ-დღეობაში ადამიანი ერთობა სხვა და სხვა თავის შესაქცევს ამბებითა: გლეხ-კაცობა მღერის, ფერხულს აბამს, სამაის თამაშობას, დიდკაცობა ლეკურში ერთობა, იმართება ჯირითი, ჭიდაობა.

იმერეთში-კი სულ სხვა სანახაობას წარმოგიდგენს ხატობა: როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, ხალხი მიდის სალტად, ლამაზად, სუფთად ჩაცმულ-დახურული; ყველა სუფთად, ფაქიზად არის ჩაცმული; ვერ გაარჩევ ჩაცმულობით გლეხს, აზნაურს, თავადს; ყველა გამოწკეპილ-გამოკვანწული; მალიმალ იხედება ტანთსაცმელზედ, ავლებს თვალს წვერ-ულვაშს, ხომ ყოვლის ფერი რიგზედ მაქვს, რომ მეზობელმა საცინლად არ ამიგდოსო. აქაურის ქალების კაზმულობას, სიფაქიზეს, სინაზეს და სილამაზეს ხომ ნუღარ იტყვით. მაგრამ რა გამოვიდა! ამ ბუნებისაგან უხვად მინიჭებულს სილამაზეს, ამ ეშხით სავსე თვალ-წარბს, მშვენივრად ჩაგრეხილს დალალს-კავს ლაზათს უკარგავს სახის გაგლესვა ფერ-უმარილითა. შეხედავ შორიდამ, მთვარესა ჰგავს ქალი, მიხვალ ახლოს და—შენს მტერს!—ხელში შეგრჩება უცნაურად გაგლესილი მასკა. რა სჯობია ბუნებითს სახეს, ბუნების დაუმახინჯებლობას!! მაგრამ, იცით, რის ბრალია ეს ასეთი „გაკრასკვა?" ლამაზს და მშვენიერს უფრო ლამაზად და მშვენიერად გამომაჩენსო. მაგრამ რა მწარედ სტყუვდებიან, ბუნების ღალატი ყოვლისფერში სიმახინჯეა, და აბა სიმახინჯე რა ხელ-საყრელია!

—

სუჯუნაში ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი გრიგოლი; გიორგობის წინა დღითაც და გიორგობა დღესაც მწირველი ბრძანდებოდა სუჯუნის წმინდა გიორგის საყდარში. წინა დღით თვისის კრებულით სწირა აქაურის ახლად გარდაცვალებულის აზნაურის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა მღვდელ-მთავარმა საყდარში მყოფთა, უჩვენა, თუ რით იყო შესანიშნავი თავის პატარა წრეში იგი, ვისთვისაც სწირა. რადგანაც ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველს კეთილს და მადლიანს სიტყვას, წარმოთქმულს ეკკლესიაში, და განსაკუთრებით მღვდელ-მთავრის სიტყვას, ამიტომ მეტად არ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით აღვნიშნო შინაარსი მგძნობიერად ნათქვამის სიტყვისა: „სწავლა-განათლება, მეცნიერება, წარმოსთქვა ყოვლად-სამღვდელომ, ლამპარია, რომელიც კაცს ცხოვრებას უნათლებს, წარმატებაში მიჰყავს; ყველა ის კაცი, რომელიც ეტანება განათლებას, სურს შეიტანოს იგი თვის ხალხში, თვის ოჯახში, ჩვენი საყვარელი და პატივსაცემელია. განსვენებული ამითი იყო საქები და შესანიშნავი; იგი არა ზოგავდა თვის უკანასკნელს წვლილს, რომ განათლება მიეცა თვის ოჯახის წევრთათვის; თვისის წვლილით არამარტო ღარიბი ოჯახი დააყენა ფეხზედ, თვის უმცროსი ძმები სინათლის გზაზედ დააყენა: აღზრდა, განათლება მისცა, ზოგს უმაღლესიც. კაცს ბევრი რამ შეუძლიან. მიიცვალა ღარიბად, დასტოვა წვრილ შვილებით ცოლი. იმედია იმ ამაგს, რაც განსვენებულს დაუთესნია ძმებზედ, ერთი ათად გადაუხდიან საბრალო ობლებს და სინათლის გზაზედ სვლას არ მოუსპობენ. გებრალებოდეთ ეს საბრალო ობოლნი!"

ყოვლად-სამღვდელოსთან მრავალი მღვდელი, მედავითნენი მოდიოდნენ თხოვნით; მომეტებულად აქაური ხალხი ერთი-მეორეს უჩივის, უჩივის ხშირად განგებ, ტყუილად, რომ ფული გამოართვას და მერე მოუსპოს საჩივარი. ყოვლად-სამღვდელო ამაების შესახებ ბევრი ელაპარაკა შინაურულად ხალხსა: ნუ ხართ „კლიაუზნიკები", ტყუილად და უსამართლოდ ნუ აწუხებთ ნურც თქვენს თავს, ნურც მე და ნურც სხვა მთავრობასაო. მართლაც და აქაურს ხალხს ძალიან ჰყვარებია დავიდარაბა; სწორედ გასისხლ-ხორცებიათ, მეორე ბუნებად გადაქცევიათ „დანოსი", საჩივრების წერა, ცილის წამება. ეს ნიჭიერი და ფხიზელი ხალხი რაზედ სცდება?!

ზედ გიორგობა დღეს საყდარში ხალხის ტევა არ იყო. გალობდა მთელი გუნდი მგალობლებისა ქართულად, გურულს კილოზედ, ამ დღისთვის თითქოს განგებამ შეჰყარა შესანიშნავნი მგალობელნი გურია-სამეგრელოსი! ასე გასინჯეთ, თვით პაპა გურულის გალობისა, აღმადგენელი და განმატკიცებელი მისი მთელს გურია-სამეგრელოში, ბ-ნი ანტონ დუმბაძეც-კი ჩამოვიდა აქ. ეს ჭარმაგი მოხუცი მშვენიერად, მოსაწონად, სანდომიანის კილოთი ჰგალობს; ამას გარდა იყო აქა გელაძე დ ჭალაგანიძე. რასაკვირველია, საყდარში ტევა არ იყო, და ბევრმა ვერ გაიგონა ეს საუცხოვო გალობა. საზოგადოდ იმერეთის ეკკლესიებში, თითქმის ყველგან, ერის-კაცთა მგალობელთა გუნდი გალობს! გალობა ხალხს ღვთისადმი სასოებას უღვიძებს და სიყვარულს ეკკლესიაში სიარულისას; ამიტომაც არის რომ აქაურს ეკკლესიას კვირა-უქმობით ხალხი არ აკლია, როდესაც რომ ქართლში, მაგალითად, ხშირად, ძალიან ხშირად მღვდლისა და მისის მედავითნის მეტი საყდარში სხვა ძე-ხორციელი არ მოიძებნება ხოლმე.

---

## გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი

№ 7. „ქ. ესე წიგნი მოგართვით და დავიდევით ჩვენ ერთობლივ წმინდის დავითის ყმათ თავლელთა და პატარძეულელთ, ასე რომ თქვენ ბატონმა წინამძღვარმა ონოფრემ კვნა მოინდომეთ; ჩვენ იმას ვერ შევიძლებდით—კვნასა, მკასა, ზიდვასა და ლეწვასა. ახლა შემოგეხვეწნით და მოგართვის წელიწადში ყოველთვინ ორას ორმოცი კოდი, თქვენის კოდით თორმეტიანის ლიტრით, მხას გალეწილს პურს მოგართმევდეთ ყოველს წელიწადს და კიდევ სადაც იშოვნიდეთ, იმასაც ჩვენ მოგიტანდეთ და ვინც მაგისთანა მსახური იყოს და შეეძლოს, იმათაც ნახევარი გამოიღონ, ფერინოზის შვილს და კვირიკაულს გარდა. აპრილს, ე. ქორონიკონს ტპვ=1695 წ. †††

უწინ ორას კოდობით პურს მონასტრის ყმანი უზიდავდნენ თავის ზურგით, დღეს-კი ბერები კარი-კარს საკალმახოდ დაიარებიან და ორ ლიტრასაც ვეღარ იღებენ მონასტრის ნაყქევთაგან! სოფელი თავალი, ანუ აწინდელი ვრცელი სოფელი საგა-

---

ვრჯელ დატანჯულა მწარედ გიგოლა, როცა-კი დაუძახნიათ: გიგოლა ნალექარისშვილის ხარები ამა და ამ მეზვრეს ან მეველეს დაუჭერიაო, და უთქვამს თითქოს ცრემლების დენით: „რა ტიალობად მინდანან, როცა არც ტყეში და არც ველზე მაგათ არ ეცხოვრებათ?!. სიცოცხლეს მიმწარებენ, გავყიდი!" მაგრამ ამასთანავე გაუფიქრია: ი ვერანა „ფოჰტისთვი" და „ნადელის" „ნედოინკისთვის რომ მამირაკუნებენ კარებს, მაშინ რა-ღა მეშველება, რა ჯანაბიდგან ვიშოვნი, თუ ორი ხარიც აღარ მეყოლებაო!.. დიდად საკვირველია, ღმერთმანი, ან აქამდე როგორ შეინარჩუნა გიგოლამ ეს ხარები!? სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, „ნადელის ნედოიმკაში" წელს მესამედ აუწერეს ეს საცოდავი ხარები ამ უფრო საცოდავ გიგოლას!

III

შემოდგომის ძლიერ სულს გიგოლასათვისაც დაებერა... იმ დროს, როდესაც მოხელეების ხმაურობა შამოესმა, ის კახურ-ნასუნები ბუხრის პირას იჯდა და თავის პაწია შვილს ეალერსებოდა. მოხელეების ლაპარაკზედ გიგოლამ გარეთ გამოიხედა და, რა დაინახა, რომ მისკენ მიდიოდნენ, ცოლს უთხრა: მოხელეები მოდიან, სახლი მიალაგ-მოალაგეო.

— აბა, გიგოლ!—გაეხმაურა წინამასწარა და მეტიჩარა გზირი ჩვეულებრივის სალამის შემდეგ—რას ფიქრობ, „ფოტი" მზადა გაქვს? ხომ წინადვე გისიზმრე, შვილოსა, ჩვენ ნუ მოგვიყვან, თორემ ჩვენი მოსვლა ხუმრობა არ იქნება-მეთქი. აი ეხლა „ფოჰტიც" უნდა დაგვითვალო და, სადილობის დროა, კიდეც უნდა გაგვიმასპინძლდე, მეტი რა გზაა—ვითომ-და გაუხუმრა გზირმა.

— „ფოჰტისა"-კი რა ვიცი და გამასპინძლებისა ნუ გეშინიანთ, გიგოლას არა სცხვენიან. ჩვენი საკმაო ღვინო კიდევ გადაურჩებოდა გეურქას. ქათმების გაზდა ხომ ჩვენი ნათლი-დედის ხელობაა და აი სულ ჩვენი გამასპინძლება. მე ვიცი, ბევრსა და მრავალს რასმე მოვთხოვთ! მოხელის ყადრი-კი არ ესწავლება, ნეტავ ისე შეძლებაც მოჰდევდეს—იცბიერა ნაცვალმა და დაუმატა: ჩვენ რისთვინაც მოვსულვართ, იმაზე ვილაპარაკოთ·

— გიგოლ, შენი გულითვი, ჩემო ძმაო,—დაიწყო ტყემლის ჯოხზე დაბჯენილმა მამასახლისმა—გუშინაც „ნიგავარი» მივიღე. „პრიჰტავმა" დ „ურადნიკმა" სულ ფეხები მიბრაცუნეს: „ოჰტი" რატომ არ შეგისრულებიაო. მე, ჩემო საყვარელო ძმაო, ჩემი თავი ყველას მირჩევნია, სხვის გულისათვის „აბიდას" ვერა ვჭამ. რას აპირობ, ვერსად გაჰხე ღონესა? ეხლაკი დროა. ხომ იცი, ჩვენც სამსახურის ქვეშა ვართ. ბარემ გულით გვინდა, რომ არავის-რა გადაგხდეთ, ნამეტნავად შენისთანა ბეჩავს, მაგრამ რას იზამ, ხემწიფეა და მთავრობა. ეს შენც იცი და ღმერთმაც, რომ ჩემთვის არავის რას ვართმევ. „პრიჰტავმა" მიბრძანა: ამ ერთ კვირაზე „პოჰტის" შეუსრულებლობა არ იქნებაო. უნდა შენც და სხვა შენფერებმაც, რა გზითაც იქნება, იშოვნოთ. მეც ცოდო ვარ, „ფოჰტსაც" ჩემი ჯიბიდამ ხომ არ მივცემ. ჯერ უმისოდაც გაწყალებული ვარ სოფლისაგან: რამდენსაც ფულს მოითხოვს „პრიჰტავი": „კნიღებისა" და რაღაცებისაო, იმდენი ჩემი უნდა დაუთვალო, და ალება-კი სადღაა. გავწყალდი სწორედ, გავწყალდი! ნეტავ ამ ტიელა სამსახურში-კი არ შევსულიყავ და თუნდა ათასი თუმანი ვალი დამმართებიყო. სოფელმა და ხალხმა რა იცის, სადა აქვს ამის გაგება, თუ რა სიკეთეს უშვრები, რა შემწეობას ვაძლევ, როგორ ხელს ვაფარებ, ვინ მისცა ავკარგის გარჩევა და სიკეთის დანახვა სოფელს და ხალხს! მე თუ არა ვფარავდე ჩემს საზოგადოებას და ხალხს, აქამდე „ზეკუცია" ათჯერ აიკლებდა აქაობას. ეხლა-კი ლამის მოთმინებიდამ გამომიყვანოთ და „ზეკუცია" მომათხოვნინოთ... ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ხვალ „პოჰტი" უეჭველად მზათ უნდა გქონდეს—სთქვა ბოლოს წყრომის კილოთი მამასახლისმა და ამდენი ლაპარაკის შემდეგ, რომელიც მუდამ «ერთი სადილი" ღირდა, იქვე ახლოს ნაგდებ ქვაზე ჩამოჯდომა დააპირა.

— ჰო, ეგრე, ნათლიმამ, ეგრე—დაუმატა „ბორჩიკმა"—სხვა არა იყოსრა, ჩვენი სახლი და საქმე ვეღარ გაგვიგია. ეს ერთი თავე მეტი იქნება, რაც ამ ვერანა საქმეზე დავეხეტებით, ნეტავი ერთი კაცი მაინც იყოს მადლიერი და გვეტყოდეს: მოდით პატარა დაისვენეთ, ნუ დაიხოცებით. ეს არის გადაგვიწყდა ამდენი სოფელ-სოფელ ტანტალით, ბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჯო მთლად დავითის უდაბნოს ეკუთვნოდა. თვალი იყო სამშობლო სახელოვანის ილარიონ თვალელისა (980—†1041 წ.), ხახულის მონასტერში მოღვაწისა, სადაც ბერობა შემოსა მან გიორგი მთაწმიდელს და მოძღვარი იყო სიკვდილამდე სახელოვანის მოწაფის—მთარგმნელისა. საგარეჯოში უდაბნოს ეკუთვნოდა ორი დიდი ზვარი და სამი ეკკლესია: პეტრე-პავლესი, სვიმეონ მესვეტისა და დავით გარეჯელისა.

№ 8. 1698 წ. თებერვლის 11. კახ ბატონი მამად ყული ხანი აახლებს ლეონის, ალექსანდრეს და თეიმურაზ მეფეთაგან ბოძებულს სიგელს შესახებ სოფ. აკურის შეწირულობისა, წინამძღვრობასა ონოფრესსა. მწერალი თუმანიშვილი შიოშ (ეს გუჯარი მოქცეულია „ნინოწმიდის გუჯრების კრებულში." ეს კრებული ეკუთვნის არხივს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტისას ტფილისში).

№ 9. 1700 წ. მაისის 20. მეფე ირაკლი I, და მეუღლე მისი დედოფალი ანნა, ძენნი მისნნი—თავით, კონსტანტინე და თეიმურაზ—თავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარს ონოფრეს აძლევენ ოქმით იმ საძოვრებს (ძროხისა, ცხვრისა და სხ. იათალებისა), რომლებზედაც ქართველნი და კახელნი ცილობდნენო. მწერალი—ქვათახევის წინამძღვარი ეფთიმე. გუჯარი მოქცეულია იმავე კრებულში.

№ 10. 1712 წ, დავით გარეჯის წინამძღვარი ონოფრე, ყოფილი ონისიფორე, თავის ძმით ბოვნელ-ეპისკოპოსით მაქსიმეთი,—აძლევს ოქმს თავის ნამსახურს მეტრეველს ბერსა, მის შვილს ღვთისიასა და გიორგისა და მით უბოძებია ნასყიდი მამული—ხახვიაშვილისა, ამბროსაშვილისა „კვირიკაული". ამა წყალობის სანუქფოდ „ალაპს" ავალებს: „თუ შიმშილობა არ შეიქნებოდეს, როსაც მოსავალს პირი უჩნდეს, რვა ლიტრიანის კოდით სამს კოდს, ნამცხვარს პურს, ერთ საპალნე ღვინოს, ორს ცხვარს და სამს ზურგიელს იმ დღეს (ხორციელის შაბათს) შენ დახარჯევდე და ამისთვის ასე გაგვითარხნებიხარ—თავითა, შვილითა და შვილის შვილითა." ბოლოს ხელი აწერია ჩართულით: „ბოვნელ ეპისკოპოსი მაქსიმე," ჯვარით.

საეკკლესიო გლეხთა ყოფა-ცხოვრების უმჯობესობა საბატონო ყმათა წინაშე ცხადათ მტკიცდება აქედამ და ბატონყმობის ისტორიის მკვლევარს მშვენიერ მასალას აძლევს ეს გუჯარი.

№ 11. 1711 წ. საქართველოს ბატონიშვილი პატრონი სვიმონ სწირავს უდაბნოსა, საფლავსა წმ. დოდოსას თხუთმეტ თუმანს, რომელიც მიიღო წინამძღვარმა ზაქარიამ. ზაქარიამ ამ ფულით მოისყიდა ზვარი სამონასტროდ. სვიმონი ამ ზვარს უდაბნოს სახელზედ ამტკიცებს „დღეთა თვისთა წარსამართებლად და თვისი ძმის თეიმურაზის შესანდობლად და მოსახსენებლად. ავალებს ძმათა თავისთვის წირვას შობა დღეს, ხოლო თეიმურაზისათვის—6 დეკემბერს. ამაზედ წინამძღვრისა და მამათა წიგნი გვაქვსო". გუჯარი დაწერილია ეპისკოპოზის კვიპრიანე სამთავნელის ხელით. ქკ-ს ტჲთ—1711 წ.

თხუთმეტ თუმნად ზვრის ყიდვა ეხლა ზღაპრად მისაღებია, მარამ სახეში უნდა ვიქონიოთ—ფულის სიძვირე იმ დროს. იმ დროს ან თუმანი ყოფილა ეხლანდელი თუმანზედ მეტი ან მამული ყოფილა მეტის მეტი იაფ ფულის სიძვირისა გამო.

№ 12. დოდოს მონასტრის ბერმონაზონთა და მგალობელს (?) შორის დავა იყო მამულზედ. ამა დავის გასარჩევად დედოფალმა ანნამ დანიშნა ნინოწმიდელი იოსებ და წინამძღვარი ონოფრე. ამა პირთ შუა კაცებად დანიშვნა დედოფალმა აუწყა საგარეჯოს მოურავს. დავის გარჩევის შემდეგ ორი წილი სადავო მამულისა დარჩა მგალობელს და მესამედი დოდოელთა. ესე განაჩენი დამტკიცებულია ხელის მოწერითა დედოფლის ანნას მიერ და მისი ძის, კახეთის ჯანიშანის (გამგებელი) ბატონიშვილის თეიმურაზის მიერ. განაჩენი შედგენილია ქორონიკონის უ=1712 წ. მაისის 9.

ცხვილოელი

---

## უცხოეთი

**გერმანია.** 21 აპრილს რეიხსტაგი შეუდგა სამხედრო კანონ პროექტის განხილვას. პირველად სიტყვა წარმოსთქვა კანცლერმა კაპრივიმ. კანცლერს ძლიერ დაღლილი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ ბევრ უმუშავნია. კანცლერმა სთქვა: სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ მე ახალს ველარას ვიტყვი, განვმარტამ მხოლოდ, რად მიაჩნია მთავრობას ეს კანონ-პროექტი უცილებელ საჭიროებად. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ, რაც ჯარი გვყავს, სრულიად არ არის საკმარისი ჩვენის მამულის დაცვისათვის. ჩვენ გვიმტკიცებენ, საკმარისად დიდი ჯარი გვყავსო, მაგრამ ამის თქმა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ, ვისაც საქმის გარემოება კარგად არა აქვთ შეგნებული. ყველა ჩვენი წარჩინებული გენერალი და სამხედრო საქმის მცოდნე კაცები ამტკიცებენ, გერმანიისთვის საჭიროა ჯარის მომატებაო.

ჩვენ გვეუბნებიან: გერმანიას თვით ღმერთის გარდა არავისი ეშინიანო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ ვის შეუძლიან სთქვას ჩვენში, თუ გინდ გმირთ გმირიც იყოს, რომ თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, უეჭველად ჩვენ გავიმარჯვებთო. მართალია, იქნება ვერავინ დაგვძლიოს, იქნება საგერ ომისათვის ჩვენი ჯარი საკმარისიც იყოს, მაგრამ გამარჯვებისათვის-კი სრულიად არა კმარა. შემდეგ კანცლერმა სთქვა: დასავლეთ მხრიდან გერმანია ძლიერია, ხოლო ესევე არ ითქმის აღმოსავლეთის საზღვარზე. თუ რუსეთთან ომი მოგვიხდა, აუცილებლად საჭიროა დიდი ჯარი გვყავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პრუსიის აღმოსავლეთ პროვინციების მცხოვრებნი ძლიერ დაზარალდებიან ომისაგან. ნუ თუ დანციგის მცხოვრებთ დაავიწყდათ ყველა ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდათ ამ საუკუნის დასაწყისში?

სწორედ ამ უბედურების ასაცდენად გვსურს ჯარის მომატება.

დასასრულ, კაპრივიმ სთქვა, რომ თუმცა მთავრობას ჯერ დაბოლოვებით არა აქვს გადაწყვეტილი, როგორ მოიქცევა, თუ ახალმა რეიხსტაგმა სამხედრო კანონ-პროექტი არ შეიწყნარა, მაგრამ შემიძლიან ვსთქვა, რომ იქნება გუნეს კომპრომისი შეიწყნაროს, ხოლო იმ პირობით-კი, რომ თითონ ექნება უფლება გუნეს წინადადების ზოგიერთი მუხლი შესცვალოსო.

---

## წვრილი ამბავი

გამოფენის წინა დღეს 14 რკინის გზის მატარებელი, რომელსაც ჩიკაგოსკენ ხალხი მიჰყავდა, აესებით სავსე იყო. მთელი ოთხი დღე წვიმა მოდიოდა. მხოლოდ 1 მაისს ცოტა დარი გამოიცვალა. დილით ჰერცოგი და ჰერცოგინა ვერაგუა ლესინგტონს მოვიდნენ. ამ სასტუმროს ახლო, სადაც კლივლენდი იდგა, აურებელი ხალხი იყო შეკრებილი. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს კლეველენდმა, მივიდა თუ არა გამოფენაზედ, სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ დაიწყო ლაპარაკი გამოფენის დირექტორმა ჯორჯ-დევიმა. ორატორმა სთქვა: გამოფენაზედ დაიხარჯა 100,000,000 გირვანქა სტერლინგი, აგებულ იქმნა 400 შენობა. გამოფენის გასამართად მონაწილეობა მიუღიათ ევროპის ყველა სახელმწიფოებსა და აზიისა და აფრიკის ზოგიერთა სახელმწიფოთ. სხვათა შორის პრეზიდენტმა სთქვა: პატივცემულნო მოქალაქენო, მოგილოცავთ ამ ახალ გამოფენას და იმედი მაქვს, რომ ამერიკელები მართლა მთელს ქვეყანას გააკვირვებენ. ჩვენ ავაგეთ ეს მშვენიერი შენობები, ჩვენ შევაგროვეთ აქ ხელოვნებისა, ნაჭისა და მეცნიერების ნაწარმოებნი. ჩვენ და ჩვენი სტუმრები, იმედია, კეთილად აუსრულებთ ჩვენს სურვილსა და დანიშნულებას. ის საქმე, რომელსაც ჩვენ ეხლა ვგებვბით, არის უტყუარი საბუთი ხალხთა შორის ძმობისა და ერთობისა.

— „Вѣстникъ Виноделія" - ში გვითხულობთ: „წელს მაისში ან თიბათვეში ბესარაბიისა და კავკასიის ვენახების დასათვალიერებლად ჩამოვლენ პროფესორი გორგატი და პროფესორი მარიონა (ფრანგი). ზემოხსენებული პროფესორები დაათვალიერებენ ფილოქსერით დასნეულებულ ვენახებს და ახალ შესაფერს საშუალებას მოსძებნიან ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოიკვლევენ აგრეთვე, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქვეყანაში ამერიკულ ვაზის გაშენებასაო". ამ გარემოების გამო „Новое Время" ამბობს: საკვირველია სწორედ, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ პროფესორების დათვალიერებას მაშინ, როდესაც ჩვენ ყოველ წლივ ათი-ათას თუმნობითა ვხარჯავთ ფილოქსერასთან საბრძოლველად, ასობით საფილოქსერო დასი ჰმუშაობს და სწამლობს ყოველ წლივ ჩვენს ვენახებსა. თუ ეს საშუალება უვარგისი იყო, მაშ რისთვისა ვხარჯავდით აქამდენ ფულსა და, თუ კარგია, რაღა საჭიროება მოითხოვდა ახალ ხარჯს და ამ პროფესორების მოგზაურობასაო.

მეცნიერი გალტონ ელლისონი ამტკიცებს, რომ გენიოსები უფრო სისხლ-ნარევ გვარეულობაში იბადება ხოლმე. გალტონ ელლისონი ასე ასაბუთებს თავის აზრს: ბრიტანიის თორმეტ გამოჩენილ აწინდელ მგოსანთა შორის არც ერთი არ არის წმინდა ინგლისურ სისხლისაო. ტენისონის მარღვებში ფრანგულ-დანიური სისხლი სდუღდაო; სვინბერნი სკანდინავისა და კელტიების ნარევ ჩამომავლობისა იყო; ვილიამ მორისის სისხლი სამის სხვა-და-სხვა ტომის სისხლ-ნარევი იყო: კალისისა და ინგლისურ-დანიისაო; როზეტი ინგლისურ-იტალიანურ ჩამომავლობისა იყო; ალექსანდრე დიუმა ნეგრების მოდგმისა იყო; ვიქტორ ჰიუგოს მამა გერმანელი მოდგმისა იყო ლოტარინგიელი, დედა-კი ბრეტონელი; ზოლას მამა იტალიელი მატემატიკოსი იყო, თვითონ ზოლას ფრანგულ-იტალიანურ-ბერძნული სისხლი უდუღს. იბსენი ჩამომავლობით სამ გვარტომობის ნარევი იყო: გერმანელისა, სკანდინავისა და შოტლანდიისა. ამ სახითაო—დაასკვნას გალტონ ელლისონი, ცხადია, რომ გენიოსები უფრო სისხლ-ნარევ მოდგმისანი არიანო.

---

## დეპეშა

29 აპრილი

**პეტერბურგი.** ნება-დართულია, 1—10 აგვისტოს ქ. კიევში რუსეთის ტყის პატრონთა და მწარმოებელთა კრება გაიმართოს.

„Новое Время" იუწყება, ციმბირის რკინის გზის კომიტეტს გენერალმა ანენკოვმა პროექტი წარუდგინა იმის შესახებ, რომ ახალ ტიპის გზა გაიყვანონ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 295 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 244-ისა უარ-ჰყო როსსელის აზრი იმის შესახებ, რომ ირლანდიის ახალი პარლამენტი მხოლოდ ერთის პალატისაგან შესდგესო.

ინგლისის ბანკმა დისკონტი $3\frac{1}{2}\%$-მდე ასწია.

**ბელგრადი.** დღეს მოსკოვში გაემგზავრა სამხედრო მინისტრად ნამ-

---

უნდა მოუღოთ „ფოჰტას", ბოლო!

— სწორედ ხათაბალაა სოფლის მოხელეობა!—წაიდუდუნა თავისთვის მწერელმა, გაიქნია თავი და, ცოტა ფიქრის შემდეგ, რიღაცის თქმა ეწადა, რომ გიგოლას დაეცალებინა და არ წამოეძახნა:—მამასახლისო, მანდ ნუ დაბძანდებით, ყველანი შინ მობძანდით, შინ.

— რაღა შინ მოვიდეთ, არა გვცალიან, გვეჩქარება, წავალთ, ბევრგან სხვაგან გვინდა მისვლა. ვინძლო ხვალისთვის მზად დაიჭირო «ფოჰტი» და «საზეკუციაოდ» საქმე არ გაიხადო—უთხრა მამასახლისმა.

— «ზეკუცია» ღმერთმა მაშოროს! რაღა იმისი განადგურება აკლია ჩემს ოჯახს და დაწიოკება ჩემს ცოლშვილს? უნდა ვიშოვნო, მეტი რა ილაჯია. თუნდაც დამახრჩოთ, ხვალისთვის-კი ვერა და ამ ერთ კვირაზე-კი უეჭველათ მზათ მექნება. დილას ტყემალაანთ სოსიას შავპირდი, ქირაზე მივდივარ იმის ურმით, უღელი კამბეჩით და ჩემი ხარებით. ხვალ დილით ხუთს ურემს უნდა დაუდოთ გაბერილი კარაპეტას ღვინოები და ქალაქში ჩავიტანოთ. ეჰჰ!—ღრმად ამოიოხრა გიგოლამ ცოტა ფიქრის შემდეგ უღონობის ნიშნად და სთქვა:—გლეხი კაცის გაჩენას სხვა რამე გაეჩინა იმ დალოცვილს ღმერთს, ის არა სჯობდა?! «ფოჰტი», „ნადელი", „ნედოინკა", ათასნაირი ბეგარი, ჭირი და ვარამი სულ გლეხს არ ატყდება თავზე, თქვენი ჭირიმე!!.

— მართლა, იმ დღეს რომ ი „ჩინონიკი" გიბარებდა „ნადელის" თაობაზედ, იმისა რა ჰქენი?—შეეკითხა გზირი გიგოლას.

— რა ეშმაკებს ვიზმოდი, ჩვენ ვინ რასა გვკითხავს და ან გვათქმევინებს? გადმოშალა რაღაც ქაღალდი, იანგარიშა, იანგარიშა და იმდენი-კი შეაყენა ი საოხრო „ნედოინკა", რომ ცოლშვილითაც ვერ ამოუვალ. ორი კვირა ვადა მომცა. მერე-კი სულ „აგიწერავ", თუ რამ გაბადია, მითხრა „ჩინონიკმა".

— ძალიან საქმეს გიჭირებსთ ეგ „ნადელის ნედოინკა" ნაბატონარ ხალხს—წამოთქვა მწერელმა.

— ოჰ, ნუღარ მეტყვით! უკაცრაული პასუხია, და სწორედ კუდამდე ტყავი გაგვძვა, ღმერთი თქვენი თავდები! ნეტავი, თქვენის დღეგრძელობით, ამ ხარჯიდამ-კი გაგვანთავისუფლონ და ვინ შერცხვენილი და თავლაფდასხმული, დიდის სიამოვნებით და სიხარულით რაც ფული დაგვხარჯვია აქამდე, იმასაც თავს არ დაანებებს და ამ ბინასაც, რომლის გამოც ვიხდით „ნედოინკას", უკანვე არ დაუბრუნებს, ოღონდაც თავი დაგვანებონ. ჩვენს ყოფას რა ყოფა ჰქვიან? სახნავი არსად ჩვენთვის და საძოვარი, ტყე არსად და ველი. სახელმწიფო ალაგებში „ლესნიჩი" არ გვიშვებს, საბატონოში, რასაკვირველია, ბატონი; ვართ ორ ცეცხლ შუა. ჭიგო რა არის და წელიწადში ნახევარ ურემს ჭიგოს ვერ ვიშოვნი ხოლმე, რომ იმ ცხრა-ათ ვაზს შევუდგა. აბა მოდი და იცხოვრე და აცხოვრე ცოლშვილი!.. ეს კიდევ ჰო, მაგრამ ეს რაღა ღვთის რისხვაა, რომ მე, რომელსაც გარეთ მგელი ვერას შამიჭამს და შინ ციცა, იმის თანასწორი ხარჯი უნდა ვიხადო, ვინც სარჩოთი სდუღს და გადმოდის!?—დააბოლოვა გიგოლამ.

— დიდი ცოდოობა და უსწორმასწორობა ტრიალებს, დიდი, მაგრამ რა გაეწყობა? მთავრობაა და კანონი, წინააღმდეგი რა გვეთქმის—უთხრა მამასახლისმა.

— წინააღმდეგი ღმერთმა მაშოროს! იქნება მეტი რამე ვსთქვი? ნუ მიწყენთ, მაპატიეთ. მე ცოტა ქეიფად გახლავართ და, ხომ მოგეხსენებათ, ქეიფიან კაცს მოაგონდება ყველაფერი და გული არ მოუთმენს, თუ არ გამოაზეპირა. თქვენი ჭირიმე, თუ რამე უხერხულად მომივიდა, „პრიჩტავთან" არაფერი სთქვათ ჩემს უბედობაზედ: გიწინააღმდეგნიაო, გამათრახავს!

— ვაიმე, ვაიმე, განა აგრე გვიცნობ, გიგოლ!?—უთხრა ნაცვალმა.

— არა, თქვენზე ამას როგორ ვიფიქრებ, მაგრამ კაცნი ვართ. ვიტყვით... მობრძანდით, ერთი-ორი კეთილი სიტყვა ბრძანეთ ჩემს საწყალს ოჯახში. შემოდგომაა. ერთმანერთის სალმის მიცემისა და პატივის ცემის დროა. მართალია, თქვენი ღირსების კვალად ვერ დაგიხვდებით, მაგრამ, არა უშავს, ჩემს საწყლობას შეუფერეთ—უთხრა გიგოლამ.

ასე თუ ისე, მოხელეები გიგოლას სახლში შელაგდნენ.

(შემდეგი იქნება)

ყოფი პოლკოვნიკი ჯურიჩი და თან მიაქვს მეფე ალექსანდრეს მიერ დაწერილი ბარათი, რომელშიაც ის აუწყებს ხელმწიფე იმპერატორს თავის გამეფებას.

**ბერლინი.** მიუხედავად იმისა, რომ არჩევანები 13—24 ივნისამდე არ გათავდება და მეორედ კენჭის-ყრასაც 16—28 ივნისამდე არ გამოაცხადებენ,—რეიხსტაგი, როგორც ხმა დადის, 14—26 ივნისს უნდა შეიკრიბოს.

**ბუქარესტი.** მდინარეების წყალდიდობას თან-და-თან ემატება. რამდენიმე კაცი დაზარალდა.

პრინცი კობურგელი მეუღლითურთ ხვალ სისტოვოში მოდის.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,68 | 7,70 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153½ | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,66 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 243½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | 99⅝ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | 102 | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99¾ | — ,, |

### „ივერიის“ ფოსტა

**ო—ს. ა. ე—ს:** თქვენი ლექსი ნ. ბარათაშვილის გადმოსვენებაზედ არ დაიბეჭდება

**ფ—ს. ი. მ.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


## განცხადებანი

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—27)

ЧИСТКА и ГИГИЕНА ЗУБОВЪ

**ЗУБНЫЯ СРЕДСТВА**

ЗУБНАГО ВРАЧА

**АДЭЛЬГЕЙМЪ**

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—50)

ცოტა-ღა დარჩა და ისყიდება წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მაღაზიაში

**საქართველოს კალენდარი**

1893 წლისათვის

ფასი 45 კ. (ყდით 55 კ.)

კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათ დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით.

ურის წიგნი 1893 წლისთვის

„სულ გაიყიდა“

ქართული

მიწერ-მოწერის კრებული

ფასი 40 კ. (ყდით 50 კ.)

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.


# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამა 1893 წლის 15 აპრილისთვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ ქონებათა გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1887 წლის 15 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1893 წლის დასაფასებელ სიაში შეტანილი ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულება, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 34,275,449 მან. და ამავე 1893 წელს, ვიდრე უმაღლესად დამტკიცდება მთლად კავკასიისათვის შედგენილი განაწილებანი და საერო ხარჯთ-აღრიცხვა, მიღებულია ჯამი 63,611 მან. 13 კაპ., მაშასადამე ამ გადასახადის რაოდენობა იქნება:

| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | დასაფასებელი ჯამი | ახალი გადასახადი. | |
|---|---|---|---|---|---|
| მან. | მან. | კაპ. | მან. | მან. | კაპ. |
| 100,000 | 185 | 65 | 700 | 1 | 31 |
| 80,000 | 148 | 52 | 500 | — | 93 |
| 50,000 | 92 | 83 | 300 | — | 56 |
| 30,000 | 55 | 70 | 100 | — | 19 |
| 15,000 | 27 | 85 | 80 | — | 15 |
| 10,000 | 18 | 57 | 50 | — | 09 |
| 8,000 | 14 | 85 | 40 | — | 07 |
| 6,000 | 11 | 14 | 30 | — | 06 |
| 4,000 | 7 | 43 | 10 | — | 02 |
| 2,000 | 3 | 71 | 9 | — | 02 |
| 1,000 | 1 | 86 | 5 | — | 01 |
| 900 | 1 | 67 | 3 | — | 01 |

**მაგალითი:** ამ გვარად, 8745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—16 მან. 24 კაპ. (8000 მან.—14 მან. 85 კ., 700 მან.—1 მან. 31 კაპ. 40 მან.—07 კ. და 5 მან. —01 კაპ. სულ 16 მან. 24 კაპ.); 56,638 მან. დაფასებულს მამულს—105 მან. 15 კაპ., (92 მან. 83 კაპ.+11 მან. 14 კ.+1 მან. 11 კ.+06 კ.+01 კ.=105 მან. 15 კ.), ე. ი. ახალი გადასახადი ცოტათი ნაკლებია ქალაქის დასაფასებელ გადასახადის ¼-ზედ.

**ხელმწიფე იმპერატორმა**, თანახმად წარდგინებისა საფინანსო სამინისტროს გამგესი და დადგინებისა მინისტრების კომიტეტისა დეკემბრის 18-სა დღესა 1892 წ., **უმაღლესად** კეთილ ინება და დაამტკიცა ქალ. ტფილისის უძრავი მამულების საერო გარდასახადი 52,633 მან. და 6 კაპ. სწორად განაწილებულ იქმნას ხუთის წლის განმავლობაში, 1893 წლიდგან 1897 წლის გასვლამდე. ზემოხსენებული ჯამი შემდგარია, როგორც იმ დამატებითი გამოანგარიშებული საერო ხარჯისაგან 1890 და 1891 წ.წ. (33,985 მან. 74 კ.), აგრეთვე იმ დარჩენილი გარდასახადისაგანაც, რომელიც შევსებული უნდა ყოფილიყო 1893 და 1894 წ.წ. (18,647 მან. 32 კ.), და რომელიც უმაღლესის ბრძანებით ნაწილ-ნაწილად გადასახდელია 1890 წ. 9 მარტიდამ.

ამიტომ ქალაქის გამგეობამ გაანაწილა დამატებითი ხარჯი 1890 და 1891 წ.წ.—33,985 მან. და 74 კ., ე. ი. 16,992 მან. და 87 კ. თითო წლისა აღნიშნულ წლების გასანაწილებელი სიების კვალობაზე, მაშასადამე, ამ გადასახადის რაოდენობა იქნება:

| 1890 წლისათვის. | | | | | | 1891 წლისათვის. | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | |
| მან. | მან. | კაპ. | მან. | მან. | კაპ. | მან. | მან. | კაპ. | მან. | მან. | კაპ. |
| 100,000 | 52 | 49 | 900 | — | 47 | 100,000 | 51 | 40 | 900 | — | 46 |
| 80,000 | 41 | 99 | 700 | — | 37 | 80,000 | 41 | 12 | 700 | — | 36 |
| 50,000 | 26 | 25 | 500 | — | 26 | 50,000 | 25 | 70 | 500 | — | 26 |
| 30,000 | 15 | 75 | 300 | — | 16 | 30,000 | 15 | 42 | 300 | — | 15 |
| 15,000 | 7 | 87 | 100 | — | 5 | 15,000 | 7 | 71 | 100 | — | 05 |
| 10,000 | 5 | 25 | 80 | — | 4 | 10,000 | 5 | 14 | 80 | — | 04 |
| 8,000 | 4 | 20 | 50 | — | 3 | 8,000 | 4 | 11 | 50 | — | 03 |
| 6,000 | 3 | 15 | 40 | — | 2 | 6,000 | 3 | 08 | 40 | — | 02 |
| 4,000 | 2 | 10 | 30 | — | 2 | 4,000 | 2 | 06 | 30 | — | 02 |
| 2,000 | 1 | 05 | 20 | — | 1 | 2,000 | 1 | 02 | 20 | — | 01 |
| 1,000 | — | 52 | 10 | — | 1 | 1,000 | — | 51 | 10 | — | 01 |

**მაგალითი:** 1890 წ. გასანაწილებელი სიისთვის—8,745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—4 მან. 59 კ. (8000 მან.—4 მან. 20 კ., 700 მან.—37 კ. და 40 მან.—2 კ., სულ 4 მან. 59 კ.) 56,638 მან.—29 მან. 73 კ. (26 მან. 25 კ.,+3 მან. 15 კ.+31 კ.+2 კ.=29 მან. 77 კ.); 1891 წ. სიისათვის—8,745 მან. 49 კ. (4 მან. 11 კ.+36 კ.+2 კ.=4 მან. 49 კ.); 56,638 მან.—29 მან. 11 კ. (25 მან. 70 კ.+3 მან. 08+8 კ.+31 კ.+2 კ.=29 მან. 11 კ.).

ამ გვარად ხვედრი დამატებითი სახელმწიფო გარდასახადი თვითეული მამულისა გამორთმეულ იქმნება ხუთის წლის განმავლობაში, 1893 წ. 1897 წლის გასვლამდე, თანა სწორე ნაწილ ნაწილად, ე. ი. ⅕ 1888 წ. დარჩენილი გარდასახადიც აგრეთვე ხუთის წლის განმავლობაში იქმნება გამორთმეული თანასწორ ნაწილ-ნაწილად 1893 წ. 1897 წლის გასვლამდე.

უძრავ მამულების ახალ გადასახადს შორის ის განსხვავება არის, რომ ახალი გადასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცალიერ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის განაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზის“ 114 №-ში).

2) იმ მცირე ფასის მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება (გასანაწილებელ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1893 წ. 130 მ).

3) სახელმწიფო მამულებს.

უფრო დაწვრილებითი ცნობის შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდიდამ გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქნება თხოვნა ამ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არიან.

ვადის ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დამტკიცდება უთ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელშიაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახადი გაეწერა.